# ხელშეკრულება №9
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქობულეთი 10 მაისი 2013 წ.

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა (Iთავის, მუხლი მე-3,პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი) და „სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, ერთის მხრივ ნაკაიძეების საჯარო სკოლა, დირექტორი მარინა დუმბაძე (ქობულეთი სოფ. ნაკაიძეები) და მეორეს მხრივ შპს „ბალავარი 2010"–ს დირექტორმა ელგუჯა ცინცაძემ დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1 ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს მიაწოდოს „შემსყიდველს" ნატეხი და ნამსხვრევი ქვაCPV კოდი: 14212300 ,ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

## 2 ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 „შემსყიდველი" ანგარიშსწორებას ახორციელებს „მიმწოდებლის" მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში.

2.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.4 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 300(სამასი) ლარს.

2.5 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

## 3 საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ „მიმწოდებლის" და „შემსყიდველის" მიერ მიღება-ჩაბარების განხორციელების შემდეგ.

3.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებს „შემსყიდველის" მიერ წარმოდგენილი სათანადო უფლება მოსილი პირი.

3.3 საქონლის ვადამდე მიწოდების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოახდინოს ანაზღაურება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1 არავითარი გადახვა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

4.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

ბალავარი 2010
BALAVARI 2010

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

## 8 სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 9 გამოყენებული სამართალი

9.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 10 ხელშეკრულების ენა

10.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცლება მხარეთა შორის, შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

## 11 შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს იმის მიხედვით თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბერი.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ რეზემპლიარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან და ორივე მათგან გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ქობულეთი ნაკაიძეების საჯარო სკოლა | შ.პ.ს.„ბალავარი 2010" |
| სოფ.ნაკაიძეების საჯარო სკოლა | |
| ს/კ 246994089 | ს/კ 446951610 |
| მის.ქობულეთი სოფ.ნაკაიძეები | ოზურგეთი სოფელი ნატანები |
| ანგ№GE131B0121114002579000 | ანგ: GE34BG0000000876178500 |
| სს„ლიბერთი ბანკის" | სს „საქართველოს ბანკი" |
| ქობულეთის ფილიალი | საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი |
| ბანკის კოდი LBRTGE22 | ბანკის კოდი BAGAGE 22 |
| დირექტორი: /... ჯემაძე/ | დირექტორი/... ცინცაბაძე/ |

### 5 უფლებების გადაცემა

5.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

### 6 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

### 7 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

7.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4 ამ მუხლის მე-2 პუნქტის მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული საქონლის ღირებულება.

„შემსყიდველი" ------------------------------

„მიმწოდებელი" ------------------------------